პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 303 (10697) | კვირა, 30 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ

ᲙᲘᲓᲔᲕ ერთი დღე და დამთავრდება მეექვსე ხუთწლედის პირველი წელი — 1956 წელი, რომელიც დიად სამუშაოთა გაჩაღების, საბჭოთა ხალხის მრავალი ახალი გამარჯვების მოპოვების, შშობლიური კომუნისტური პარტიის XX ისტორიული ყრილობის მუშაობის, ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის დიდ ღონისძიებათა განხორციელების წელი იყო.

წლის მიწურული აღინიშნა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენით — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მუშაობით. პლენუმის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია საბჭოთა ხალხის მიერ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში მოპოვებული სასიხარულო მიღწევები და შთამაგონებელი გამარჯვებები.

დიდი მიღწევებით, საამაყო საწარმოო მაჩვენებლებით ეგებებიან ახალ 1957 სამეურნეო წელს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მუშაკები — მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივები, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელები, მშენებლები. რესპუბლიკაში შეუხელებლივ ვითარდება სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველი — მძიმე ინდუსტრია, ენერგეტიკა, სამთამადნო მრეწველობა. მოქმედ საწარმოთა მწყობრში დგებიან ტექნიკის უახლეს მიღწევათა მიხედვით მოწყობილი ახალი საწარმოები. არსებულ შახტებს ახლები შეემატა, ამუშავდა და პროდუქციას გვაძლევს რუსთავის ცემენტის მძლავრი ქარხანა, საექსპლოატაციოდ გადაეცა ტყიბულის ჰიდროელექტროსადგური, რომელსაც სიმძლავრით რესპუბლიკაში მეორე ადგილი უჭირავს, გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგურის აგებით შეიქმნა რიონის კასკადი, თბილისში ამუშავდა ელექტროტექნიკური მრეწველობის ორი დიდი საწარმო — „ელექტროგამშვები“ და „ელექტროავტომატი“ და სხვ.

ყველა ეს წარმატება საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელებით.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოების, ახალმშენებლობათა კოლექტივების მუშაობას წელს მრავალი ნაკლი ახასიათებდა. ეს ნაკლოვანებანი გამოწვეული იყო ცალკეულ საწარმოთა მართვის სისუსტით, საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების მოუქნელობით, აგრეთვე სერიოზული ნაკლოვანებებით სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში. ეს გამოწვეულია აგრეთვე ცალკეული სამინისტროების მხრივ საწარმოებისა და მშენებლობების სპეციფიკის გაუთვალისწინებლობით, სხვადასხვა დარგების კოლექტივთა მუშაობის შეუწყობლობით. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტი, რომელმაც წლიური გეგმის შესრულება ვერ შეძლო სწორედ სამეურნეო ხელმძღვანელობის მოუქნელობის მიზეზით და ამასთან იმის გამო, რომ ტრანსპორტის მუშაკები ტყვარჩელელ მეშახტეებთან შეუწყობილად ვერ მუშაობდნენ, ვერ უზრუნველყვეს მოპოვებული ქვანახშირის გამოზიდვა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა თავის დადგენილებაში პირდაპირ აღნიშნა ჩვენი სახელმწიფო დაგეგმვისა და სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი და დაგვისახა მათი აღმოფხვრის გზები. პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელება მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებს, სამრეწველო, საბინაო და ენერგეტიკულ მშენებლობაში ჩაბმულ მასებს იმის სრულ საშუალებას მისცემს, რომ რიტმულად იმუშაონ, უზრუნველყონ საწარმოო დავალებებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თანდათან მზარდი მაჩვენებლებით შესრულება.

ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ სახალხო მეურნეობის სოციალისტური მმართველობის განსახორციელებლად საჭიროა დემოკრატიული ცენტრალიზმი ხალხის ინიციატივაზე დაყრდნობით, ადგილობრივი გამოცდილების გამოყენებით, საჭიროა სახალხო მეურნეობის სრულყოფა და განმტკიცება. ხელმძღვანელობს რა ამ ლენინური პრინციპებით, პარტია და მთავრობა ახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სამეურნეო მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების როლის ამაღლებისაკენ სამინისტროების უფლებების გაფართოებისაკენ, მმართველობის აპარატის გამარტივებისაკენ.

ყოველივე ეს ახალ, დიდად პასუხსაგებ ამოცანებს აკისრებს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანიზაციებს — სამინისტროებს, ტრესტებს, კომბინატებს, ცალკე სამრეწველო და სატრანსპორტო გაერთიანებებს. არ უნდა იქნას დაშვებული ისეთი მდგომარეობა, რომ საწარმოებს დაუგეგმონ გარკვეული სახეობის პროდუქციის გამოშვება და სათანადო მატერიალურ-ფინანსური მომარაგებით კი არ უზრუნველყონ, როგორც ეს იყო, მაგალითად, თბილისის მომინანქრებული ჭურჭლის ქარხანაში.

სამინისტროებში, ტრესტებში, კომბინატებსა და სადარგო გაერთიანებებში დაუყოვნებლივ უნდა მოათავონ 1957 წლის გეგმების დაზუსტება, კორექტირება, შეუქმნან საწარმოთა მუშებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს დავალებათა გადაჭარბებით შესრულების რეალური შესაძლებლობანი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშენებლობის სწრაფად და მაღალხარისხოვნად დამთავრების საკითხებს, აღმოიფხვრას მშენებლობაში ობიექტების სიმრავლის გამოდევნება და ამით გამოწვეული თანხების დაქსაქსულობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მასების აქტიურად ჩაბმა, საწარმოების სამეურნეო და პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ამ საქმეში ადგილობრივი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი აქტივის მონაწილეობა უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის შემდგომ გეგმაშეწონილ განვითარებას, მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის — 1957 წლის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებას.

1957 წელი კომუნიზმის მშენებლობაში ახალ დიად მონაპოვართა მიღწევის, ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი აღორძინება-აყვავების წლად უნდა გავხადოთ! ასეთია საქართველოს მშრომელების სულისკვეთება, მასების ნებისყოფა ახალი სამეურნეო წლის მიჯნაზე.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮ. ᲛᲘᲙᲣᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

28 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ა. სუსლოვმა მიიღო ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ს. მიკუნისი.

საუბარმა ურთიერთ საინტერესო საკითხებზე მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან, რომ ამა წლის 28 დეკემბერს ქ. თბილისში გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მიხეილ დოროთეს-ძე წინამძღვრიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო** | **საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი**

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მ. დ. წინამძღვრიშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით: დ. მამამთავრიშვილი (თავმჯდომარე), ს. როსტომაშვილი, ს. დურმიშიძე, ბ. ლომაძე, კ. ერისთავი, ი. მენთეშაშვილი.

მ. დ. წინამძღვრიშვილის დაკრძალვა მოხდება სახელმწიფო ხარჯზე. (საქდესი).

ᲕᲐᲛᲠᲐᲕᲚᲝᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ!

★

ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივი მძლავრი შრომითი აღმავლობით უპასუხებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. საამქროებში დიდი აქტივობის ვითარებაში ეწყობა პლენუმის დადგენილებების კოლექტიური კითხვა და განხილვა.

— ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, — თქვა ერთ-ერთი ასეთი განხილვის დროს ჩვენი კომბინატის ნოვატორმა კ. კენკიშვილმა, — მოცემულია სსრ კავშირის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ყოველმხრივი განვითარების პროგრამა. ჩვენი მოვალეობაა მთელი ენერგიით ვიმუშაოთ პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. მე პირადად ვკისრულობ ვალდებულებას 1957 წელს დავალება 1 ივნისისათვის შევასრულო.

პლენუმის დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დამობილი პროფკავშირების როლს სახალხო-სამეურნეო ამოცანების შესრულების საქმეში.

ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაცია უაღრესად ენერგიულ მონაწილეობას მიიღებს კომბინატის სამეურნეო ცხოვრებაში. მისი მუდმივი საზრუნავი იქნება სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლებისადმი დახმარების საკითხები. დიდი ყურადღება მიექცევა კომბინატის კოლექტივის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ამჟამად ჩვენს საწარმოს აქვს რამდენიმე მრავალსართულიანი და ერთსართულიანი სახლი. შენდება კიდევ ორი 49-ბინიანი სახლი. მაგრამ ეს არ კმარა. იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მოთხოვნილება ბინებზე, ჩვენ უნდა ავაგოთ კიდევ რამდენიმე მრავალბინიანი სახლი.

ჩვენი საწარმოს მრავალათასიანი კოლექტივი თავისი შრომით ღირსეულ წვლილს შეიტანს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. კომბინატმა 19 დეკემბრისათვის შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად კომბინატის მუშებმა და მოსამსახურეებმა თავდადებული მუშაობა გააჩაღეს იმისათვის, რომ ახალი საწარმოო წარმატებები მოიპოვონ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში 1957 სამეურნეო წელს.

ი. კოტბაᲮᲘᲫᲔ,
თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

გარეუბნის რაიონის სოფელ დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორი ასმათი უამუტაშვილი კოლმეურნეებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებებს. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗ ᲡᲐᲒᲛᲘᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲒᲕᲐᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡ

— პირნათლად შევასრულოთ მოძმე საბჭოთა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაკვეთა, მივცეთ აზერბაიჯანელ მენავთობეებს მაღალხარისხოვანი თხელი ქსოვილი! — ამ ლოზუნგით მუშაობს ამ დღეებში ქალაქ გორის ბამბეულის კომბინატის კოლექტივი.

გორელი ფეიქრები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, გულდასმით განიხილავენ და ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. საამქროებში, ცვლებში, ბრიგადებში, კომპლექტებში იმართება სააგიტაციო საუბრები. მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდების პასუხად ფეიქრები აღფრთოვანებით ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს იღებენ.

გორის ბამბეულის კომბინატი საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სიამაყეა. მდინარე ლიახვის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულია ფეიქართა დაბა. ჩვენ, ფეიქრები, ლამაზ, ნათელ სახლებსა და კოტეჯებში ვცხოვრობთ. მაგრამ ჩვენთან ჯერ კიდევ საგრძნობია საცხოვრებელი ბინების ნაკლებობა, ვინაიდან შეუწყნარებლად ჭიანურდება საბინაო მშენებლობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებაში დასახულია საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დაჩქარების, ხალხის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები. ყველა საბჭოთა ადამიანის მოვალეობაა მთელი თავისი ძალა და ენერგია მოახმაროს პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას.

ჩვენი კომპლექტის სახელით ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 120-125 პროცენტით შეასრულოთ და მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოვუშვათ.

ჩვენს სიტყვას აუცილებლად შევასრულებთ.

კ. ᲑᲔᲡᲢᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
გორის ბამბეულის კომბინატის საქსოვი საამქროს ოსტატის თანაშემწე.

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სამტრედიელი მემანქანეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად მათ ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და ახალ წარმატებებს აღწევენ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა საბარგო მატარებლის ელმავლის მემანქანე ვ. კაკაბაძე. მან უკანასკნელ თვეში 15 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა და გეგმის გადამეტებით 7.480 ტონა ტვირთი გადაზიდა, ამავე დროს მიმდინარე რემონტზე 2.014 მანეთი დაზოგა.

— ვიმუშაოთ უწუნოდ და უავარიოდ, გადავზიდოთ რაც შეიძლება მეტი სახალხო მოხმარების ტვირთი! — ასეთი გადაწყვეტილებით შრომობენ ამ დღეებში სამტრედიელი მემანქანეები და დიდი გადაჭარბებით ასრულებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებათა პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს. ჩემი ვალდებულებაა შეუფერხებლად ვიმუშაო ზამთრის პირობებში, უწუნოდ და უავარიოდ ვატარო სახალხო მატარებელი. სიტყვას საქმედ ვაქცევ.

ვ. ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ,
სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.

ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚ-ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲡᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ

28 დეკემბერს საღამოს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა სტავროპოლ-მოსკოვის გაზსადენის მშენებელთა კრება. [illegible] ხუთწლედის [illegible] ადგილი [illegible] — [illegible] დან დედაქალაქამდე, აქ ჩამოვიდა ორი ათასამდე მშენებელი. ესწრებიან მოსკოვის მშრომელთა, აგრეთვე ურალის მეტალურგთა წარმომადგენლები, რომლებმაც მშენებლობას მისცეს ათასობით ტონა მილი.

კრება გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა. სიტყვა მიეცა ნავთობის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრს ა. კ. კორტუნოვს. თავის სიტყვაში მან თქვა, რომ უკვე ახლა გაზსადენის პირველი ხაზით კომპრესორული სადგურების დაუხმარებლად მოსკოვი მიიღებს 3-4 მილიონ კუბურ მეტრ გაზს დღეღამეში. გაზსადენის მეორე რიგის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოსკოვი მიიღებს 20-ჯერ მეტ იოფ მაღალკალორიულ სათბობს, ვიდრე სარატოვ-მოსკოვის გაზსადენი იძლევა.

ახალი გაზსადენი გაზმომარაგების სხვა წყაროებთან შეხამებით შესაძლებელს გახდის მეექვსე ხუთწლედის ბოლომდე არა მარტო სავსებით გაზიფიცირებულ იქნას მოსკოვის მცხოვრებთა ბინები, არამედ დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა დიდი უმრავლესობა. გადაყვანილ იქნას გაზის სათბობზე. 1960 წელს მოსკოვის მოთხოვნილება ქვანახშირზე 10-ჯერ შემცირდება.

დასასრულ ამხ. კორტუნოვმა ილაპარაკა მშენებელთა ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. ე. ა. ფურცევას. დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისა და მშრომელთა სახელით იგი მხურვალედ ულოცავს მშენებლებს გამარჯვებას და გულითად მადლობას უძღვნის მათი კეთილშობილური, შესანიშნავი შრომისათვის.

კრებაზე გამოვიდნენ საიზოლაციო-ჩასაწყობი კოლონის ბრიგადირი ფ. გ. პროხოროვი, ჩელიაბინსკის მილსაგლინავი ქარხნის საამქროს უფროსი ა. მ. გარაგულია, მეექსკავატორე ს. პ. კოროშენოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზის მთავარი სამმართველოს უფროსი ა. ტ. შმარევი.

კრებას დაესწრნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბულგანეი.

სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

კრების მონაწილეებმა მიიღეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. ამ წერილში სტავროპოლ-მოსკოვის გაზსადენის მშენებელთა კოლექტივის სახელით მათ პირობა დადეს მიღწეონ ახალ შრომითს წარმატებებს სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად. (საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მ. ე. თარხნიშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის მიენიჭოს მარიამ (მარო) ესტატეს ასულ თარხნიშვილს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ᲩᲘᲣᲠᲘᲫᲔ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ს. ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ქ. თბილისი. 1956 წლის 29 დეკემბერი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საუბარი თბილისის წყალსადენის ტრესტის მმართველთან ამხ. ე. შარაშენიძესთან.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ბრიგადირი დ. ბზიშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი ა. სუბოტინი, მებეტონეები ც. ქოქაშვილი და ე. სუბორუკოვი.

• • •

ძვირფას საახალწლო საჩუქარს მიიღებენ ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები — საექსპლოატაციოდ გადაეცემა რიგით მეექვსე წყალსადენი — სამგორის წყალსადენი.

ახალი წყალსადენის ამუშავებასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში თბილისის წყალსადენის ტრესტის მმართველმა ამხ. ე. შარაშენიძემ განაცხადა:

ცნობილია, რომ მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო ქალაქი ხასმელი წყლის დიდ ნაკლებობას განიცდის, განსაკუთრებით ზაფხულობით. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მოსახლეობის წყლით მომარაგების გასაუმჯობესებლად შარშან ივლისში დაიწყო ახალი წყალსადენის მშენებლობა.

მშენებლებმა მოკლე დროში ააგეს სამიჯნო კამერა, ფილტრების შენობა, სატუმბავი სადგური, დიდი მოცულობის რეზერვუარი, 450 მეტრის მანძილზე ჩააწყეს 900-მილიმეტრიანი და 560 მეტრზე — 600-მილიმეტრიანი ლითონის მილები. დამთავრდა ყველა ძირითადი სამუშაო, რაც საჭიროა არა მარტო პირველი, არამედ მეორე რიგის წყალსადენისთვისაც (გარდა მეორე საფილტრე განყოფილებისა და ქალაქის ქსელამდე მისაყვანი მილსადენისა).

ძველ ქალაქში ბინებს ეძლევა ბინების ნაკლებობა, ეს ბინები ეძლევა ბინების ნაკლებობა, ეს ბინები ეძლევა ბინების ნაკლებობა, ეს ბინები

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

გავაძლიეროთ საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებითი აქტივობა

თბილისის მოლოტოვის რაიონის პარტიული ორგანიზაციის კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რაიონში მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების საქმეში, ამაღლდა მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, რაიკომმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს მასებში ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა. რაიონის სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა 102,8 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 10 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია.

— იდეოლოგიური მუშაობის ყველა ფორმა, — განაცხადა მომხსენებელმა ამხ. ი. შევაღრდნაძემ, — პოლიტიკური განათლების წრეების მუშაობა, ლექციური პროპაგანდა, პოლიტიკური მოხსენებები, თვალსაჩინო აგიტაცია და საგიტაციო საუბრები მიმართული იყო იქითკენ, რომ კომუნისტებს, ყველა მშრომელს ღრმად შეესწავლა სკკპ XX ყრილობის მასალები, გაეძლიერებინათ ბრძოლა ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე პრაქტიკული ამოცანების განსახორციელებლად.

ამავე დროს მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს პროპაგანდისტულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი აქცევს ჯეროვან ყურადღებას კომუნისტების პოლიტიკურ სწავლებას, ყველა პოლიტსკოლა და წრე როდი მუშაობს შემოქმედებითად. ამ საქმეში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფორმალიზმი. ამით აიხსნება, რომ თბილკვებავაჭრობის მაღაზიების ქსელის პარტორგანიზაციაში 26 ნოემბერს ვაჭრობის ეკონომიკის შემსწავლელი წრის მეცადინეობას 19-დან 4 მსმენელი დაესწრო. 7 ნოემბერს კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრის მეცადინეობა ჩაიშალა არტელ „წითელ მკერავში“. დაბალ იდეურ დონეზე აწყობს მეცადინეობას პროპაგანდისტი ე. ოქოევი (№ 1 სამკერვალო ფაბრიკა). ზოგიერთი კომუნისტი უპასუხისმგებლოდ ეკიდება იდეურ-თეორიული დონის ამაღლების საქმეს. მაგალითად, იურიდიული კონსულტაციის პარტორგანიზაციის მდივანი ი. ბასილაია, მისი განცხადებით, მეორე წელია დამოუკიდებლად სწავლობს პოლიტიკურ ეკონომიას, ფაქტიურად კი ელემენტარულ საკითხებშიც ვერ ერკვევა.

მოლოტოვის რაიონში ბევრი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, საკონსტრუქტორო ბიურო, სამკურნალო დაწესებულება და საგამომცემლო ორგანიზაცია არის, რომლებიც მთელ რესპუბლიკას უწევენ მომსახურებას. ამ დაწესებულებებში, აგრეთვე რაიონის სკოლებში და სამრეწველო საწარმოებში საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი რაზმი მუშაობს. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რაიკომმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს ინტელიგენციასთან მუშაობა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში.

რაიკომმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა ინტელიგენციის შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში მისი როლის გაძლიერებისათვის. მოწვეულ იქნა პედაგოგთა რაიონული კრება, რომელზეც განიხილეს საკითხი „პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი და სკოლების ამოცანები“. ამ კრებამ ხელი შეუწყო რაიონის სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოაშკარავებას და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას. მეცნიერ მუშაკთა რაიონულმა კრებამ განიხილა სამეცნიერო დაწესებულებათა წინაშე პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულების მიმდინარეობა. მოეწყო აგრეთვე გამომცემლობის მუშაკთა რაიონული კრება. სექტემბერში რაიონის ინტელიგენციის კრებამ იმსჯელა საკითხზე „პარტიის XX ყრილობა და ინტელიგენციის ამოცანები მშრომელების კომუნისტური აღზრდის საქმეში“. ყველა ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო ინტელიგენციის შემჭიდროებას და დარაზმვას კომუნისტური მშენებლობის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ლითონისა და სამთო საქმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ფ. თავაძემ კონფერენციას მოუთხრო იმ დიდ მუშაობაზე, რომელსაც ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ეწევიან. ინსტიტუტმა შეასრულა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საწარმოო სამუშაოთა გეგმა. ამ შრომებს თეორიულ ინტერესთან ერთად უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის. მაგრამ ჩვენს მუშაობას აფერხებს, — თქვა ამხ. თავაძემ, — შესაფერისი შენობის უქონლობა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტისაგან საჩუქრად მივიღეთ ძვირფასი მოწყობილობა, რომლის ღირებულება 400 ათას მანეთს აღემატება. დიდი სივიწროვის გამო სამუალება არა გვაქვს ეს მეტად საჭირო მოწყობილობა დავდგათ და გამოვიყენოთ. ეს გარემოება გადაუდებლად აყენებს საბჭოთალოზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსში ჩვენი ინსტიტუტის შენობის მშენებლობის დაჩქარების საკითხს.

— რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, — თქვა ამ საავადმყოფოს პარტბიუროს მდივანმა ვ. ბაბუხადიამ, — ბევრი ნიჭიერი სპეციალისტია, რომლებიც უნარიანად ათავსებენ პრაქტიკულ და კვლევითს მუშაობას. მათ მიერ შექმნილ მრავალ ათეულ სამეცნიერო ხასიათის ნაშრომს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ჩვენი პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად მსჯელობს ცალკეულ კლინიკურ განყოფილებათა მუშაობის საკითხებზე, დახმარებას უწევს დირექციას სამკურნალო და სამეცნიერო მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, ავადმყოფთა მომსახურების გაუმჯობესებაში.

36-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ქ. ჭანიშვილმა გააკრიტიკა სკოლებში არსებული აორიცხვიანობისა და ანგარიშგების სისტემა. კლასის ხელმძღვანელს 35 მოსწავლეზე 18.900 ნიშნის დაწერა უხდება, თითო მოსწავლეზე ნახევარი კილოგრამი ქაღალდი იხარჯება. მასწავლებლები გადაქცეული არიან კანცელარიის მუშაკებად და ქაღალდებში იხრჩობიან. ამ ნაკლები დრო რჩებათ აღმზრდელობითი მუშაობისათვის. დიდი ნაკლოვანებანია პედაგოგთა კადრების განაწილებასა და დანიშვნაშიც.

კამათის მონაწილე დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს ინტელიგენციის შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებისათვის, მისი მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის, მეცნიერულ მუშაობაში პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლისათვის. ასეთ ორგანიზაციათა შორის დასახელებულ იქნა ორთოპედიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს, 23, 32, 33, 38 საშუალო სკოლების, რკინიგზის ტექნიკუმის პარტიული ორგანიზაციები.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გ. გეგეშიძე.

მომავალი მუშაობისათვის კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, აირჩია რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

• • •

ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმმა პარტიის თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია შ. დოლიძე, მეორე მდივნად — ო. ლოლაშვილი, მდივნად — ა. ყანჩაველი.

მ. არო.შიძე.

კომკავშირელთა პოლიტიკური სწავლების ასამაღლებლად

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ კორ.). პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში მეცადინეობის მიმდინარეობის შესახებ. ბიუროზე აღინიშნა, რომ მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მიმდინარეობს.

ამასთან ერთად გამოირკვა, რომ კომკავშირელთა პოლიტიკურ სწავლებაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. სოფელ ჯგერდის ე. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციაში არასწორად გაიგეს ნებაყოფლობის პრინციპი. პოლიტიკური სწავლების გარეთ დარჩენილია 31, ხოლო მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციაში — 15 კომკავშირელი. გუფის, სომხური ათარის და სხვა კოლმეურნეობების კომკავშირულ ორგანიზაციებთან არსებულ წრეებსა და პოლიტსკოლებში უსიცოცხლოდ და უინტერესოდ ეწყობა მეცადინეობა, ცუდია მსმენელთა დასწრება, თეორიის სწავლება მჭიდროდ არ არის დაკავშირებული პრაქტიკასთან. ამ ნაკლოვანებების მიზეზია ის, რომ კომკავშირის რაიკომი და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საკავშირო ალკკ წევრთა პოლიტიკურ სწავლებას.

პარტიის რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი კომკავშირულ ორგანიზაციებთან არსებულ წრეებსა და პოლიტსკოლებში მეცადინეობის მაღალ დონეზე წარმართვისათვის, პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ყოველდღიურად იმუშაონ ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების გაუმჯობესებისათვის.

რეპორტაჟი

აქ იზრდებიან მომავალი ოსტატები

თბილისის 1-ლი ტექნიკური სასწავლებლის აღსაზრდელები ამ დღეებში დიდ სიხარულს განიცდიან. ისინი სასწავლებლის საამქრ- ებში დამზადებულ ჩარხებს ფუთავენ, ხის სპეციალურ ყუთებში აწყობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გასაგზავნად.

ვერტიკალურ სახრახლავ ჩარხს, რომელსაც მოსწავლეებმა ლამაზი ყუთი გაუკეთეს, მოუთმენლად ელიან შორეულ ბარნაულში. ვინ იცის, როგორ გაეხარდებათ ბარნაულელ მუშებს, საახალწლოდ თბილისის 1-ლ ტექნიკურ სასწავლებელში დამზადებულ ახალთახალ ჩარხს რომ მიიღებენ.

— 21-18А ტიპის ათი ჩარხი, რომლებსაც ახლა მოსწავლეები ფუთავენ, იგზავნება მოსკოვში, სტალინგრადში, ჩეხოვსარში, ვლადიმირის ოლქში და ფრუნზეში, — ამბობს სასწავლებლის დირექტორი ა. ნასყიდაშვილი. — ესენი მზადდება სასწავლებლის საამქროებში.

მესამე საამქროში მოსწავლეები გატაცებით მუშაობენ, ხელში ფოლადის ნაჭრებს ატრიალებენ, დროგამოშვებით თვალს შეავლებენ კედელზე გაკრულ დაფას, რომელზეც გამოსახულია ჩაქუჩის სხვადასხვა ხედები, აკვირდებიან, კარგად აღიბეჭდავენ გონებაში და კვლავ ლითონის ნაჭრის დამუშავებას განაგრძობენ. აქ ისინი ჩაქუჩებს ამზადებენ.

ერთ ჭაბუკს ბრტყელტუჩა გამოპყავს. ეს მოსწავლე ი. სეხნიაძეა. მან ლოჯის, ქლიბისა

თბილისის 1-ლი ტექნიკური სასწავლებლის ფოსტა-ტელეგრაფის კაბინეტში მასწავლებელი დ. ქვრივიშვილი (მარცხნიდან მეორე) ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობას მოსწავლეებთან.

• • •

და ჩაქუჩის დამზადება სხვებზე ადრე აითვისა.

მეოთხე საამქროში დაფაზე გამოსახულია საზეინკლო პარალელური გირაგის სახელურის მუშა-ესკიზი. მოსწავლეები აქ ამუშავებენ მარტივ დეტალებს—ჭანჭიკებს, ქანჩებს, მილისებს, წკირებს, საყრდენებს.

მეხუთე საამქროში საღარაგე ჩარხთან სახწავლებლის კომკავშირის კომიტეტის წევრი, სამხედრო ვალმოხდილი თ. პარასტაევი მუშაობს. იგი გირაგის ტუჩებს ამზადებს. კედელზე წარწერაა „შრომა—ჩვენი სიხარულია, ჩვენი ბედნიერებაა!“ მართლაც და ხალისიანი, სასიხარულო შრომაა ყველა საამქროში. მოსწავლეები ხანმოკლე დროის განმავლობაში მდიდარ საწარმოო გამოცდილებას იძენენ, ოსტატდებიან. სწავლას იწყებენ ლითონის ფილის ზედაპირის უბრალო დამუშავების პროცესიდან და ამთავრებენ რთული ლითონსაჭრელი ჩარხების დეტალების დამზადებით.

ახალგაზრდებს არჩეული პროფესიის სრულყოფილად დაუფლების ყველა პირობა აქვთ შექმნილი. ზოგ მათგანს აქვე ტოვებენ სახწავლებლის დამთავრების შემდეგ. ვ. რიბზანოფსკი ამ სახწავლებელში აღიზარდა. მან ბეჯითი სწავლით ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა და სასწავლებელშივე დატოვეს, როგორც კარგი სპეციალისტი. ახლა იგი საწარმოო სწავლების ოსტატად მუშაობს და ახალგაზრდებს ასწავლის.

აქ კარგი ავტორიტეტით სარგებლობს ახალგაზრდა ინჟინერი მიხეილ ნიკოლაიშვილი. მიხეილი შრომითი რეზერვების სისტემაში დავაკაცდა. მან ჯერ რკინიგზის სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ — ინდუსტრიული ტექნიკუმი და საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება. ახლა მ. ნიკოლაიშვილი სასწავლებელში კითხულობს ლითონთა ტექნოლოგიის საგანს.

შესანიშნავად არის მოწყობილი კაბინეტი, სადაც წარმოდგენილია სპეციალური ხელსაწყოები, ე. წ. თვალსაჩინოებანი, რომლებიც პროფესიის შესწავლას უადვილებენ ახალგაზრდებს.

სასწავლებელი წელს პირველად გამოუშვებს ახალი პროფესიის სპეციალისტებს — ფოსტის მუშაკებს. ტექნიკურ სასწავლებელს შეემატა ფოსტა-ტელეგრაფის კეთილმოწყობილი კაბინეტი, სადაც მოსწავლეები გადიან პრაქტიკულ მეცადინეობას, სპეციალურ საგნებს — „საფოსტო კავშირგაბმულობა და მისი ექსპლოატაცია“, „ტელეგრაფის საფუძვლები“, „რადიოტექნიკა“ და „ელექტროტექნიკა“. თამარ პირველი მესტიის რაიონის სოფელ იფარიდან აქ სპეციალურად გამოგზავნეს საფოსტო საქმის შესასწავლად. ერთი წლის შემდეგ იგი თავის სოფელში ფოსტის მუშაკად იმუშავებს.

სასწავლებელში მუშაობს აგრეთვე რადიოტექნიკის კაბინეტი, სადაც არსებობს რადიომოყვარულთა წრე. წრის წევრები ეუფლებიან რადიოტექნიკის საფუძვლებს, ამონტაჟებენ რადიოაპარატურას. წელს მოსწავლეებმა ინჟინერ ვ. სირაძის ხელმძღვანელობით დაამონტაჟეს გადასატანი რადიოლა, ორმილაკიანი მიმღები და ცვალებადი დენის კენოტრონული გამმართველი. ამჟამად ისინი სასკოლო რადიოკვანძის მონტაჟზე მუშაობენ.

საქართველოს შორეული რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ. ოთახებში სამაგალითო სისუფთავე და წესრიგია.

საყოფაცხოვრებო ოთახის ხშირი სტუმრები არიან მოსწავლეები, განსაკუთრებით გოგონები, აქ მათ წესრიგზე მოპყავთ თავიანთი ტანსაცმელი. აქვეა მედიკამენტების კუთხე, მოსწავლეების მიერ გამოშვებული იუმორისტული კედლის გაზეთი.

თავისუფალ დროს მოსწავლეებს ხშირად ნახავთ სასწავლებლის ბიბლიოთეკაში, სადაც ეწყობა მკითხველთა კონფერენციები.

ერთი წლის შემდეგ მოსწავლეები სიყვარულით დამშვიდობებიან თავიანთ აღმზრდელებს.

სასწავლებლის ახობით აღზრდილი ახლა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა საწარმოებში წარმატებით მუშაობს ზეინკლად, ხარატად, მდარავად და რადისტად.

მ. ბიბინაძე.

მოსწავლეები (მარცხნიდან მარჯვნივ) ვ. კაკბარავა, ო. არუთინოვი და ნ. ლომიძე სასწავლებელში დამზადებულ სახურლავ ჩარხებთან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში უნდა გაიგზავნოს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ნოვაჯორი გამოცდილებას უზიარებს მბურღავებს

ბიათურა. (საკ. კორ.). ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ დიმიტროვის სახელობის მაღაროს მბურღავმა კ. ნადირაძემ ღრმა შპურებით ბურღვის ორიგინალური მეთოდი შეიმუშავა და ცვლაში ორ მეტრ წინსვლას მიაღწია. მან საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა ყოველი ტონა მარგანეცის თვითღირებულება.

ამას წინათ კ. ნადირაძე, როგორც ღრმა შპურებით ბურღვის ინსტრუქტორი, მივლინებულ იქნა მაღაროებში. ნოვატორი მბურღავი მაღაროელებს თეორიულად განუმარტავდა და პრაქტიკულად ასწავლიდა ელექტრობურღით ღრმა შპურებით ბურღვის მეთოდს. მან ყველა მაღაროში ოთხმოცამდე მბურღავს გადასცა თავისი გამოცდილება.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ავღაგმოთ ციგრუსოვანთა ნაყოფის სპეკულანგები“

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი, რომლითაც მხილებული იყვნენ მახარაძის რაიონიდან ციტრუსოვანთა ნაყოფის სპეკულანტები, განიხილა საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის ბიურომ.

წერილში მხილებული ფაქტები ბიურომ სწორად ცნო და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი სპეკულაციის აღსაკვეთად. რაიკომის ბიუროს დადგენილებით სპეკულანტების მაქსიმელ მეკავანაძის, ავქსენტი ქადეიშვილის, შუშანა ხომერიკის, ნოე და ანდრო ხომერიკების საქმე გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

მკითხველი ა. მელქაძე რედაქციას სწერდა თბილპურეკვარობის № 109 მაღაზიაში საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის შესახებ. მაღაზიაში მომხმარებელს ხშირად კუთვნილ ხურძას არ უბრუნებდნენ, ერთ ხელზე ბურის გაცემის ნორმებს არ იცავდნენ.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ვაჭრობის სამმართველომ, რომელსაც გადაეგზავნა წერილი ზომების მისაღებად, გვაცნობა, რომ ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევისათვის გამყიდველ ს. შავშიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, ხოლო მაღაზიის გამგეს ე. მურაკაშვილს გამყიდველისადმი სუსტი კონტროლისათვის — საყვედური.

,,ავტომობილი“ ,,ავტომობილ“-ის ნაცვლად

ბორჯომ. („კომუნისტის“ კორ.). ბორჯომ-ბაკურიანის ავტოსატრანსპორტო ბაზის ავტოფარეხში ბევრ ავტომობილზე ეწერა „ავტომობილ“ ავტომობილის ნაცვლად. ეს

წერილები შრომითი წარმატებების შესახებ

ამგვარი საწარმოებიდან

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ეგზეკუტივის ფლიური გეგმა შეასრულა

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ცნობით, ამ სამინისტროს სისტემის საწარმოებმა მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში ვადამდე—1956 წლის 28 დეკემბრისათვის 101 პროცენტით შეასრულეს.

შესრულებულია აგრეთვე უმნიშვნელოვანესი პროდუქტების — პურ-ფუნთუშის და მაკარონის ნაწარმის, მარგარინის, ჩაის, ღვინის, შამპანურის, კონიაკის, პაპიროსის, სიგარეტის, საპნის და სხვ. გამოშვების წლიური საასორტიმენტო დავალებები.

ტყიბულელ მეშახტეთა გამარჯვება

ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივი საუკეთესო შრომითი მიღწევებით ხვდება ახალ წელს. მეშახტეებმა ვადამდე 4 დღით ადრე გაანადღეს წლიური დავალება და ახლა ქვანახშირის გეგმის გადამეტებით იძლევიან. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სათბობის მოპოვება გაიზარდა 14 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება 18,1 პროცენტით. ტონა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების შედეგად გაწეულია ორნახევარი მილიონი მანეთის ეკონომია.

ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალისათვის

საბურთალოს მშრალი წნეხვის მექანიკურ ქარხანასთან მოწყობილ კერამიკულ საამქროში შეუდგნენ ქართული ეროვნული ფორმის ძვირფასი კერამიკული ჭურჭლის — სურის, თასის, „მარნის“, სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული ნაწარმის გამოშვებას. ამ ნაწარმს ყველგან დიდი მოწონებით შეხვდნენ.

1957 წელს ქარხნის კერამიკულმა საწარმომ 200.000 მანეთის ძვირფასი ჭურჭელი უნდა გამოუშვას. ეს პროდუქცია, როგორც სასუველირო ნაწარმი, გაიგზავნება ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე, რომელიც მომავალ წელს მოსკოვში გაიმართება, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და საქართველოს მაღაზიებში.

რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგი

სამგორწყალმშენის ტრესტში 1956 წლის ივლისიდან 1 ოქტომბრამდე რაციონალიზატორებმა წარმოადგინეს და განახორციელეს 9 რაციონალიზატორული ღონისძიება, რამაც ტრესტს 329.310 მანეთი ეკონომია მისცა. განსაკუთრებული მნიშვნელობის წინადადებები, როგორც ამ ტრესტის კადრების განყოფილების უფროსი ამხ. ა. ფრუიძე გვწერს, შემოიტანეს მეექსკავატორე ვ. ლიუტენკომ, ინჟინერმა მ. ქობულიამ, ლითონშემდუღებელმა ნ. კოლოტმა და ინჟინრებმა კ. თულაშვილმა და ს. დარჩიაშვილმა.

თბილისის სავაგონო უბანზე

თბილისის სავაგონო უბნის კოლექტივმა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალზე ოქტომბერსა და ნოემბერში ზედიზედ მოიპოვა პირველობა. ეს კოლექტივი, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველი ამხ. ი. მჭედლიშვილი გვწერს, 1956 წლის საწარმოო დავალებათა უკეთესი მაჩვენებლებით შესრულებისათვის ეჯიბრებოდა სამტრედიის სავაგონო უბნის კოლექტივს. თბილისელ მევაგონეთა სურვილია სამტრედიელებთან შეჯიბრება განაგრძონ 1957 წელსაც.



შარშან ფოთის მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხიდამ“ დაიწყო ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, რაც ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა. შენობის პირველი სართული დათმობილი აქვს კლუბს 300-ადგილიანი დარბაზით. მეორე სართული შედგება 8 ოთახისაგან. აქ მოთავსებულია კოლმეურნეობის გამგეობა და ბუხჰალტერია, პარტბიურო, ბიბლიოთეკა და სხვ.

• • •

სურათზე: კოლმეურნეობის კანტორის ახალი შენობა აღორძინების ქუჩაზე.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

შაორჰესის მეორე რიგის მშენებლობაზე

მეექვსე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია შაორის ჰიდროელექტროსადგურის მეორე რიგის მშენებლობის დამთავრება.

შაორჰესი საბჭოთა კავშირის ყველაზე მაღალი წნევის ჰიდროელექტროსადგურია. პირველი რიგის სიმძლავრით ამ სადგურის ასაგებად მშენებლებს მოუხდათ თითქმის მილიონი კუბმეტრი მიწის სამუშაოს, 53.000 კუბმეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოს შესრულება, 3.000-მდე ტონა ლითონის კონსტრუქციების ჩაწყობა, 108.000 კუბმეტრი ქვისა და აგურის საშენ მასალად გამოყენება.

პირველი ორი ტურბინი, რომლებიც გასულ წელს შევიდა საექსპლოატაციოდ, იძლევა გაცილებით მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე საპროექტო სიმძლავრით არის გათვალისწინებული. ჰესის ახალგაზრდა კოლექტივმა 10 ნოემბრისათვის, ვადაზე 1 თვით და 20 დღით ადრე შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური დავალება და 16,5 პროცენტით შეამცირა გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება.

ამჟამად შაორჰესელები მუშაობენ სადგურის მართვაში ავტომატიკისა და ტელემექანიკის დასანერგავად.

შაორჰესის მეორე რიგის სიმძლავრით ამუშავებისათვის უკვე კარგა ხანია შეუდგნენ სამშენებლო სამუშაოებს.

პირველი სამშენებლო უბნის კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი მ. ლანჩავა ხელმძღვანელობს, კაშხალის მშენებლობაზეა გადაყვანილი. საწარმოო გეგმას ეს უბანი გადაჭარბებით ასრულებს. ქვის კარიერზე მომუშავე ბრიგადები, რომლებსაც ა. გერასკინი, მ. სოკოლოვი და ვ. შალაპოვი ხელმძღვანელობენ, მთლიანად უზრუნველყოფენ მშენებლებს სამშენებლო ქვითა და ღორღით.

კარიერიდან საგუბრამდე ქვას ეზიდებიან ორთქლმავლით. მას წარმატებით მართავს მემანქანე ი. ქარქაშაძე. მოწინავე მშენებელთა რიგებში დგანან რ. მჟავანაძე, ბ. მენაბდე, ზ. კიკნაძე, რ. გაბრიაძე, მ. გოქსაძე, ვ. ბარანოვა და მშენებლობაზე ახლად მოსული ათობით სხვა პატრიოტი.

გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის“ რედაქცია — „კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი.

ყველა ვალდებულება გავანაღდეთ

სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც გაჩაღებულია რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის კოლექტივებს შორის, წარმატებები მოიპოვა ზუგდიდის რაიკავშირის მუშაკთა კოლექტივმა.

ზუგდიდელებმა ვალდებულებით ნაკისრ ვადაზე ათი დღით ადრე — 15 დეკემბრისათვის გადაჭარბებით გაანაღდეს საქონელბრუნვის წლიური გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რაიონის მოსახლეობას 12 მილიონი მანეთით მეტი სამრეწველო და სასურსათო საქონელი მიეყიდა.

მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების დავალებათა შესასრულებლად, რომელიც დეკემბრის შუა რიცხვებისათვის იქნა განაღდებული. წელს 47 ტონით მეტი დაფნის ფოთოლი დამზადდა, ვიდრე შარშან.

გაუმჯობესდა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა, გაფართოვდა კერძების ასორტიმენტი, ამაღლდა ხარისხი. კვების 30 ობიექტიდან თვითმმასახურებაზე გადაყვანილია 22 ობიექტი, გაიზარდა სალადილოების ქსელი.

მუშა-მოსამსახურეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობასთან შეიქმნა ძეხვის საამქრო, რომელიც ყოველდღიურად 2 ტონაზე მეტ პროდუქციას უშვებს.

ა. ქვარცხავა,
ზუგდიდის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე.

მ კ უ რ ნ ა ლ ი ს ხ ე ლ ი

შუაღამეა. სოფელი ღრმა ძილს მისცემია. ძაღლის ყეფაც კი არ ისმის არსაიდან. ყინვას გაუთანგავს არემარე. მიწას, შენობებს, ბაღვენახებს თრთვილი მოჰკიდებია, თითქოს ვერცხლის მტვერი გადაყარესო. ძვალსა და რბილში ატანს სიცივე. და რა გასაკვირი უნდა დაადგეს ადამიანს, რომ ამ სუსხში თბილი ბინა დატოვოს და გარე-გარე იწყოს სიარული.

ორლობეში მიმავალ კაცს ფეხი დაუცდა ყინულზე. მან გულჯავრიანად რაღაც ჩაილაპარაკა და მოსინჯული ნაბიჯებით ქუჩა გადაჭრა. ერთი ეზოს ჭიშკართან შეჩერდა, ფერდობზე მდგომ სახლს თვალი შეავლო და პირიდან ბოლქვ-ბოლქვად გამოისროლა ორთქლი:

— ექმო!.. ჰაი, ექმო!..

ხელაშვილი ცოლის გაუბედავმა ხელის შეხებამ გამოაღვიძა.

— გოგი, გეძახიან.

მთელი დღის მუშაობით დაღლილი ძლივს გამოერკვა ბურანიდან. ძნელი გასაგები არ იყო, ვინ ეწვეოდა ასეთ დროს. უკვე მეათე წელია ექიმად მუშაობს ამ სოფელში და ხშირად აღვიძებს ქვითვანის ალერსიანი ხმა — გოგი, გეძახიან! ხელაშვილს წამით დაეზარა ადგომა, ორგანიზმი ძილს მოითხოვდა, გარეთ კი, ეტყობოდა, ქვას ხეთქავდა ყინვა. ეჰ, რა იქნება, რომ ერთი-ორი წამით კიდევ მოატყუოს თვალს? მაგრამ გარეთ, იმ ყინვასა და წყვდიადში, მას მოუთმენლად ელოდება ვიღაცა, ელოდება თავისი ახლობელის მდგომარეობით აფორიაქებული ადამიანი, რომელიც მისგანღა მოელის ხსნას...

ჭიშკართან მდგომი კაცი ექმის დანახვაზე შეირხა და ყრუდ ჩაახველა.

ხელაშვილმა იცნო მეზობლად მცხოვრები კოლმეურნე გიორგი ნიკოლაშვილი.

— გიორგი, შენა ხარ, კაცო? რა მოხდა, რამ მოგიყვანა ამ შუაღამისას?

— რაღა რა მოხდა, შენი ჭირიმე. სიმამრი მეწვია თბილისიდან, მთელი დღე კარგად იყო, ახლა კი რა მოუვიდა არ ვიცი, გულშემოყრილია კაცი, ლამის ხელიდან გამოგვეცალოს.

ავადმყოფი მართლაც ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. ტახტზე მჯდომი ზურგით მიყრდნობოდა მუთაქებს, სახე გალურჯებოდა, ქოშინი ავარდნოდა. ხელაშვილმა საჩქაროდ გასინჯა.— გულის მწვავე ნაკლებობა, — გაუელვა გუნებაში. ავადმყოფი შეიძლება არც გადარჩენილიყო, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიემართა საკირო ზომებისათვის.

— თბილი წყალი მომიტანეთ! შენ კი, გიორგი, ჩვენებთან მიდი, ცქერის ეს ბარათი გადაეცი, წამლებს გამოგატანს. აბა, ჩქარა, ერთი წუთით დაგვიანებაც არ შეიძლება!

სასწრაფო ზომების მიღების შემდეგ ავადმყოფმა შვება იგრძნო. ექიმი გამარჯვებას ზეიმობდა, მაგრამ მის ახალგაზრდულ, მშვიდ სახეზე ჩვეულებრივი ღიმილის გარდა ვერაფერს ამოიკითხავდა კაცი...

კარგა გათენებული იყო, როცა ხელაშვილი ნიკოლაშვილების სახლიდან გამოვიდა. ძილის გაყინული ჰაერი სასიამოვნოდ ელამუნა სახეზე უძინარს. კარდანახი ნისლში იყო გახვეული. გიორგი წუხანდელ ავადმყოფზე ფიქრობდა. მას უხაროდა, რომ ასე სწრაფად და სწორად დასვა დიაგნოზი, რომ ადამიანი იხსნა უეჭველი სიკვდილისაგან.

ხელაშვილმა საავადმყოფოსაკენ გადაუხვია. შინ დაბრუნება აღარ ღირდა.

გიორგი ამაყობდა თავისი საექიმო უბნით. კარდანახში მისი ჩამოსვლისას, საავადმყოფო და ამბულატორია არც თუ ისე იყო მოწყობილი, მაგრამ ახალგაზრდა ექიმის მუყაითობამ და მთელი მედპერსონალის მეცადინეობამ საქმე ფეხზე დააყენა. ახლა საავადმყოფოში თხუთმეტი საწოლია, აქ არის სამშობიარო განყოფილება, მამაკაცთა და ქალთა განყოფილებები, მთელი საექიმო უბნის სიამაყე— ფიზიო-თერაპიული კაბინეტი, რომელიც უახლესი დანადგარებით არის აღჭურვილი.

საავადმყოფოს ფანჯრებში ექთანების თეთრი ხალათები ელავდა. გიორგიმ შორიდანვე იცნო ისინი. აგერ ეკატერინე მარტაშვილი, ნატალია ილაშვილი, აი ის, კისერთან ხალათის თასმის შეკვრაზე რომ წვალობს, ნადია ბერიაშვილია, ის კი ბაბუალა ქუმსიაშვილი, რომელიც რაღაცაზე გაცხარებით ელაპარაკება უბნის ექიმს ივანე ხმშიაშვილს. ეენია მჭედლიშვილი, ფიზიო-თერაპიული კაბინეტის ექთანი, კი ალბათ უკვე თავის ოთახში ტრიალებს. გიორგის უცებ გაახსენდა ნახევრად დაბმლადაცემული მოხუცი ქალი ტასო ზავრაშვილი, ამას წინათ რომ მოიყვანეს მასთან და ამ კაბინეტში რომ მკურნალობდა. ფეხს აუჩქარა. საავადმყოფოში მისვლისთანავე ფიზიო-თერაპიული კაბინეტისაკენ გაეშურა. ეენია მართლაც აქ იყო. სოლუქსის ჩატარების პროცესი ის იყო დაემთავრებინა და ახლა ფრთხილად აყენებდა ტახტიდან მოხუცს.

— გამარჯობათ! როგორა ხართ? დედი, როგორა გრძნობთ თავს? ხომ კარგად?

მოხუცმა ღიმილით შეხედა მას წინ მდგომ თეთრხალათიან ბრგე ახალგაზრდას, მაღალ შუბლზე მერცხლის ფრთებივით გატყორცნილ წარბებს ქვეშ ღრმად ჩამჯდარ შავ თვალებში სითბო რომ ჩაღვროდა, და თავი დაიქნია.

— გმადლობთ, შვილო, ღმერთმა კარგად გამყოფოს. აი, ნელ-ნელა ისევ დავიწყე სიარული.

მოხუცის გულდასმით გასინჯვის შემდეგ გიორგიმ დანარჩენ ავადმყოფებსაც ჩამოუარა. სამშობიაროო განყოფილებასაც მიაკითხა, შემდეგ კი ავადმყოფების მიღებას შეუდგა. უკანასკნელი კაცი რომ გაისტუმრა, ამბულატორიაში ჩავიდა, ამბულატორიის უფროს ექთან ანა ბერიაშვილთან ერთად ავადმყოფ კოლმეურნეთა აღრიცხვის ჟურნალი გადაათვალიერა, ხელისათვის სანახავად აღნიშნა იმ ურჩი ავადმყოფების გვარები, რომლებიც გაურბოდნენ საავადებულო მკურნალობას, შემდეგ სანიტარული განათლების ოთახში შეიხედა — როდის მორიგება ნეტა რემონტიო, და ის იყო გარეთ გამოვიდა, რომ კიბეზე მეზობლის აქოშინებული ბიჭი შეეფეთა.

— ძია გოგი, თქვენ გეძებდით... ძია ნიკოლოზი, აი ისა... მარტიაშვილი ცხენიდან გადმოვარდნილ და გეძახიან, ძალიან ცუდად არისო.

ნიკოლოზ მარტიაშვილს, სამოცი წლის ჯერ ისევ ჯანლონით სავსე კოლმეურნეს, გიორგი კარგად იცნობდა და გული შეეკუმშა, როცა იგი უგონოდ მწოლარე დაინახა. ნიკოლოზს სუნთქვა ეკვროდა, ფერდაკარგულს ძლივს უფეთქავდა მაჯა. ხელაშვილი უმალ მიხვდა, რომ ტვინის შერყევასთან ჰქონდა საქმე. არამცდაარამც არ დასძრათ ადგილიდანო, გააფრთხილა ირგვლივ მყოფნი, და ავადმყოფს შუბლზე ყინული დაადო, საავადმყოფოდან კი სასწრაფოდ გამოუძახა ექთანს ავადმყოფისათვის კანქვეშ ინექციების გასაკეთებლად და გულის გასამგრებელი სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად. როცა ყველაფერს მორჩა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ დღეს გურჯაანის იყო წასასვლელი. მისი, როგორც გურჯაანის რაისაბჭოს დეპუტატის, დასწრება აღმასკომის სესიაზე საჯაღებულო იყო, მით უმეტეს დღეს, როცა მას ბევრი რამ ჰქონდა სალაპარაკო საუბნო გზების მდგომარეობის, სასმელი წყლისა და სოფლად ელექტროგაყვანილობის ტექნიკურად სწორად მოწყობის შესახებ. „ბავშვებიც წყმასაყვანი მყავს მუსიკალური სასწავლებლიდან“,— მოაგონდა გიორგის, როცა ახლად შეძენილი „ჰობედა“ ჭიშკარს გამოაცილა.

აღმასკომის სესია დაწყებული იყო. დეპუტატები რაღაც საკითხზე მსჯელობდნენ. სესია ცხარე კამათში მიმდინარეობდა. როცა სიტყვა კარდანახის საექიმო უბნის უფროსმა, ექიმმა გიორგი ხელაშვილი [illegible] ხმიმე ჩამოვარდა. [illegible] — ეცნობდნენ. სიტყვაძუნწ კაცად იყო ცნობილი, მაგრამ თუ რამე [illegible] ჯდომოდა ენაზე, [illegible] მისკენ ყურადღებით მიპყრობილ სახეებს და ჩაახველა.

— ამხანაგებო!

იგი დამჯერებლად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იყო ზოგიერთი საუბნო გზა, სადაც შეიძლება კაცმა კისერი ადვილად მოიტეხოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ელექტროგაყვანილობის ტექნიკურად სწორად მოწყობას ადამიანთა მსხვერპლის იმ ცალკეული შემთხვევების თავიდან აშორებისათვის, რომლებიც სოფლად ამ ბოლო ხანებში მოხდა, და მოითხოვა, რომ სესიას ყურადღება გაემახვილებინა ამ საკითხებზე. აღმასკომის სესიამ მიიღო დადგენილება ამ საჭირბოროტო საქმის სასწრაფოდ მოგვარებისათვის.

უკვე კარგახანი იყო გასული, როცა გიორგის „ჰობედამ“ გურჯაანის მუსიკალური სასწავლებლის შენობას მიაყარა.

— მამიკო მოვიდა, მამიკო!.. — გამოცვივდნენ ვესტიბიულიდან ბატარა ნინო და სიმონი, რომლებსაც გული გადალეოდათ მამის მოლოდინში. ყინვისა და სიხარულისაგან ლოყებწამონთებული ბავშვები ფაციფუცით ჩასხდნენ მანქანაში.

— იცი, მამიკო, მასწავლებელმა მითხრა, თუ ყოველთვის ასე მოიმზადე გაკვეთილი, კონცერტზე დაგაკვრევენებო, — ახარა გიორგის ათი წლის ნინომ.

ბავშვების ტიტინში გზა შეუმჩნევლად დაილია.

როცა თავიანთ სახლს მიუახლოვდნენ, გიორგიმ ჭიშკრიდან გამომავალ კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გიგო ბარამაშვილს შეასწრო თვალი.

— გიგოს გაუმარჯოს, გიგოს! რაზე შეწუხებულხარ, ჩემო გიგო? — მიეგება ბარამაშვილს მანქანადან გადმოსული გიორგი.

— დღეს მგონი ჩვენთან საუბარი გაქვს ჩასატარებელი, გოგი, ჰოდა, შემოგიარე, არ დაავიწყდეს-მეთქი, ხომ იცი, ხალხს აინტერესებს და...

— ვიცი, ჩემო გიგო, რა დამავიწყებს, აი ცოტას შევნაყრდები და... მოდი, შენც მოშივნული იქნები, ერთად გავტეხოთ პური.

მაგრამ ბარამაშვილმა მადლობა გადაიხადა, სასოფლო საბჭოში მიეჩქარებაო, მოიმიზეზა და დაემშვიდობა.

შებნდებისას გიორგი ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კანტორაში მივიდა. აქ უკვე ორმოცამდე კოლმეურნე ელოდა, რომლებსაც ტუბერკულოზისა და მასთან ბრძოლის შესახებ საუბრის მოსასმენად მოეყარათ თავი. ისინი ალერსიანი ღიმილით და მეგობრული შეძახილებით მიესალმნენ ექიმს. გიორგი კარგად იცნობდა თვითეულ მათგანს, მათი ცხოვრების პირობებს, იცოდა ისიც, თუ როგორ ბატიჟს სცემდნენ მას ეს ადამიანები, როგორ სჯეროდათ მისი, და ამის შეგნება უსაზღვრო სიხარულითა და ბედნიერებით უვსებდა გულს. ბალტო გაიხადა, მაგიდასთან ჩამოჯდა და ხელით მიიწვია ოთახში შეკრებილნი.

— წინ წამოიწიეთ, მეზობლებო, ახლო დასხედით!..

• • •

ასე იმარცვლებიან ადამიანებისადმი ფიქრსა და ზრუნვაში მოუსვენარი, მშფოთვარე დღეები. ზამთრის სუსხიან ღამეებსა თუ ზაფხულის პაპანებაში, დღისით თუ ღამით დაუღალავად იბრძვის სოფლის ექიმი ჩვენი მშრომელი ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ა. კუსრაშვილი.

უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაცია ბათუმში

ბათუმი. (ტელეფონით საკ. კორ.). გუშინ ოდესიდან ბათუმში ჩამოვიდა უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის ბელოზერკის რაიონის მშრომელთა დელეგაცია 14 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას ხელმძღვანელობს ბელოზერკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. თ. ერშოვი.

ბათუმის ნავსადგურში უკრაინის დელეგაციას გულთბილი შეხვედრა მოუწყეს აჭარის ასსრ საოლქო და ბათუმის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკებმა. სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. კ. შავიშვილი, ბათუმის რაიკომის მდივანი ამხ. ს. ესაძე და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ანანიძე.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, მოწინავე კოლმეურნეები და ფერმის მუშაკები. სტუმრები ბათუმში დარჩებიან ორ კვირას, გაეცნობიან რაიონის მშრომელთა საქმიანობას, შეაჯამებენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და დადებენ ახალ ხელშეკრულებას.

მოგზაურობა ბულგარეთსა და რუმინეთში

ქართველ ტურისტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში ვიყავით მუშები, ექიმები, ინჟინრები, რადიოკომიტეტის წარმომადგენლები, თეატრალური კრიტიკოსი და სხვ., 21 სექტემბერს მატარებლით თბილისიდან გავემგზავრეთ და უკვე რამდენიმე დღის შემდეგ — 25 სექტემბერს ჩავედით მოლდავეთის საზღვრისპირა ქალაქ უნგენში, რომლის იქით რუმინეთის ტერიტორიაა.

ჩვენი ტურისტული მოგზაურობის მარშრუტი ასეთი იყო: მოლდავეთზე გავლით ჯერ რუმინეთში შევდიოდით, მაგრამ ტურისტული დათვალიერება პირველად ბულგარეთიდან უნდა დაგვეწყო. შემდეგ კი უკან დაბრუნებისას გავცნობოდით რუმინეთის ქალაქებსა და სოფლებს. ამიტომ ქ. უნგენიდან რუმინეთის მთავარი სამრეწველო ქალაქების იასის, პლოეშტისა და დედაქალაქ ბუქარესტის ხანმოკლე გაცნობის შემდეგ 26 სექტემბერს საღამოს უკვე ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ვიყავით.

მეორე დღეს — 27 სექტემბერს ქართველი ტურისტები დილიდანვე შევუდექით ბულგარეთის დედაქალაქის დათვალიერებას. მოვიარეთ სოფიის ცენტრალური განიერი, პირდაპირი ქუჩები, შესანიშნავი ბულვარები და პარკები, ვიყავით სოფიის ფუნიკულორზე და მოხიბლული დავრჩით მისი სილამაზით. მაგრამ ყველაზე მეტად მოგვხიბლა სოფიელების მეგობრულმა დამოკიდებულებამ საბჭოთა ტურისტებისადმი. სადაც უნდა ვყოფილიყავით, სოფიის სასტუმრო „მოსკოვში“ თუ რესტორან „ბულგარეთში“, ქალაქის ქუჩებში თუ მოედნებზე, ჩვენ გულთბილად გვესალმებოდნენ და სუვენირებს გვიძღვნიდნენ უცნობი ადამიანები. ბულგარელ ხალხს ძალიან უყვარს საბჭოთა ხალხი, რომელსაც იგი სამართლიანად თვლის ჰიტლერელ დამპყრობთაგან თავისი სამშობლოს განმათავისუფლებლად.

სოფიაში ბევრია განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიისადმი მიძღვნილი ძეგლი, აგრეთვე ძეგლები იმ ძველი რუსი მებრძოლებისა, რომლებმაც თურქეთის უღლიდან გაათავისუფლეს ბულგარეთი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალექსანდრე ნეველის ტაძარი, რომელიც აგებულია 1887 წელს — ხუთასუკუნოვანი თურქული ბატონობისაგან დამონებული ბულგარეთის განმათავისუფლებლის რუსეთის მამაცი არმიის პატივსაცემად.

მეორე დღეს — 28 სექტემბერს საშუალება მოგვეცა დაგვითვალიერებინა ქალაქ სოფიის საწარმო-დაწესებულებები. ჩვენს ტურისტულ ჯგუფში მყოფი ექიმები გ. თვალთვაძე და შ. თოდუა საავადმყოფოში წავიდნენ, ინჟინრები გ. კუპრეიშვილი, ვ. ფხაკაძე, თ. გიორგაძე და გ. ქოჩლაძე — ქარხნებში, საქართველოს რადიოკომიტეტის მუშაკები ა. გაჩეჩილაძე, თ. ტატიშვილი და ა. ბადრიეკა — ადგილობრივ რადიოსტუდიაში, ამ სტრიქონების ავტორმა და ჩემმა კოლეგებმა — სტამბის მუშაკებმა ვ. ლაცაბიძემ და ა. ბარსეგიანმა დავათვალიერეთ სოფიის პოლიგრაფკომბინატი, რომელმაც როგორც პოლიგრაფიული მოწყობილობით, ისე მაღალკვალიფიციური კადრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. იმავე დღეს ქართველი ტურისტები ვიყავით გამოჩენილი ბულგარელი კომუნისტის გ. დიმიტროვის მავზოლეუმში და მისი ნათელი ხსოვნისადმი ღრმა პატივისცემის ნიშნად გვირგვინებით შევამკეთ იგი. საღამოს ვიყავით სოფიის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც შესანიშნავი ბულგარელი საოპერო მომღერლების შესრულებით დიდი ინტერესით მოვისმინეთ გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის მუსორგსკის ცნობილი მუსიკალური დრამა „ბორის გოდუნოვი“.

29 სექტემბერს სოფიიდან ბულგარეთის ერთ-ერთ მთავარ სამრეწველო ქალაქში პლოვდივში გავემგზავრეთ. გზა სოფიიდან პლოვდივამდე მიიკლაკნება მდინარეების ისკირისა და მარიცას ვიწრო ხეობაში, რომელიც ძალიან გვაგონებს მშობლიურ საქართველოს, კერძოდ შოვისაკენ და ბაკურიანისაკენ მიმავალ გზებს.

გზად გავიარეთ სტალინის სახელობის უზარმაზარი წყალსაცავი — ე. წ. „სოფიის შავი ზღვა“, რომლის სიგრძეა 16 კილომეტრი, სიგანე — 4 კილომეტრი, ხოლო სიღრმე 60-80 მეტრი. საღამოს უკვე ქალაქ პლოვდივში ჩავედით. პირველი, რაც ქალაქში ჩასვლისთანავე თვალში გეცემათ, არის ქალაქის ამაღლებულ ადგილზე ბულგარეთის განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიისადმი მიძღვნილი უზარმაზარი ძეგლი. დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, მაგრამ გული დაგვწყდა, რომ ვეღარ ჩავუსწარით ქ. პლოვდივში გამართულ საერთაშორისო სამრეწველო გამოფენას, რომელიც აქ ყოველწლიურად ეწყობა და რომელიც ჩვენი ჩასვლისას უკვე დახურული იყო.

30 სექტემბერს ქართველი ტურისტები სოფიაში დავბრუნდით და ახლად გაცნობილ ბულგარელ მეგობრებთან გულთბილი გამომშვიდობების შემდეგ იმავე საღამოს რუმინეთში გამოვემგზავრეთ. 1 ოქტომბერს უკვე ბუქარესტში ვიყავით. დიდი ინტერესით დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილები, ვიყავით დედაქალაქის უზარმაზარ სტადიონზე და სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების შესანიშნავ პარკში.

2 ოქტომბერს ქართველი ტურისტები პიონერთა სასახლეში მიგვიწვიეს რუმინელმა პიონერებმა, რომლებმაც გულითადი შეხვედრა მოგვიწყეს. შეხვედრის შემდეგ ვიყავით რუმინეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც სხვა მრავალ საინტერესო ექსპონატთან ერთად გამოფენილია რუმინელ გლეხთა სახლების საინტერესო მაკეტები და რუმინული ეროვნული ხალხური კოსტიუმების კოლექციები.

3 ოქტომბერს დავათვალიერეთ რუმინელ მხატვართა გამოფენა, რომელმაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა რეალისტური ფერებით და იდეური სიღრმით. საღამოს ბუქარესტის ოპერისა და ბალეტის თეატრში ვნახეთ ბ. ასაფიევის ბალეტი „ბაღჩისარაის შადრევანი“.

4 ოქტომბერს ქართველი ტურისტები ბუქარესტიდან გავემგზავრეთ სამრეწველო ქალაქ სტალინში, რომელიც კარპატის მთების ძირში მდებარეობს. მეორე დღეს — 5 ოქტომბერს ავტობუსებით ავედით სილამაზით განთქმულ კარპატის მთებში, სადაც აშენებულია კეთილმოწყობილი სანატორიუმები. ფუნიკულორით ავედით ამ ქედის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე, ზღვის დონიდან 2.000 მეტრზე. მწვერვალიდან დაბრუნებისას შევხვდით ბულგარელ სპორტსმენებს, რომლებიც ამ დროს რუმინეთში იმყოფებოდნენ და სპორტული შეჯიბრებისაგან თავისუფალ დროს კარპატების დასათვალიერებლად წამოსულიყვნენ. ჩვენ ბულგარელ ტურისტებთან გულთბილი მეგობრული საუბარი გვქონდა. არ შეიძლება მნახველზე წარუშლელი შთაბეჭდილება არ დატოვოს კარპატების ოდითგანვე ქებულმა სილამაზემ. ორი დღის განმავლობაში ვეცნობოდით ქალაქ სტალინის ღირსშესანიშნავ ადგილებს, მნიშვნელოვან ფაბრიკა-ქარხნებს. ქართველ ტურისტებს ერთ-ერთ ქარხანაში გულთბილი მეგობრული შეხვედრა გაგვიმართეს სტალინელმა მუშებმა და ვახშამზეც მიგვიწვიეს.

7 ოქტომბერს პროვინციულ ქალაქ სიბიუში გავემგზავრეთ. გზაზე — ქ. სტალინიდან დაახლოებით 40 კილომეტრის დაშორებით ვნახეთ ძმათა სასაფლაო, სადაც დაკრძალული არიან მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანელ ფაშისტთა მიერ მხეცურად გაჟლეტილი ტყვე საბჭოთა არმიელები. საფლავებზე დაცულ მემორიალურ დაფებზე ამოვიკითხეთ 25-მდე ქართული გვარი და სახელი. უნდა აღინიშნოს, რომ რუმინელი ხალხი დიდი ყურადღებით ეპყრობა ძმათა სასაფლაოს. იგი გარშემოვლებულია ქვიტკირის გალავნით და ყოველ საფლავს აქვს მარმარილოს მემორიალური დაფა, სადაც აღნიშნულია დახვრეტილის გვარი, სახელი და დაღუპვის თარიღი. ჩვენ გვირგვინებით შევამკეთ გერმანელ ფაშისტთა მიერ მხეცურად გაჟლეტილი ტყვე საბჭოთა არმიელების საფლავები.

ქართველი ტურისტები მალე ქალაქ სიბიუში ჩავედით, დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ადგილობრივი ბოტანიკური ბაღი და ზოოპარკი. საღამოს ისევ სტალინში დავბრუნდით, ხოლო 8 ოქტომბერს გამოვემგზავრეთ ცნობილ მთიან საკურორტო ქალაქ სინაიაში, რომელიც კარპატებზე მდებარეობს. აქ რამდენიმე დღე დავყავით. სინაიაში შესანიშნავი პარკები და დასასვენებელი სახლებია, რომლებიც ადრე რუმინელ არისტოკრატებს ეკუთვნოდა, ახლა კი რუმინელ მშრომელთა ხელშია.

10 ოქტომბერს კურორტ სინაიადან რუმინეთის დედაქალაქში გამოვემგზავრეთ. საღამოს ბუქარესტის ერთ-ერთ შესანიშნავ რესტორანში „ჩინაში“ რუმინელმა მეგობრებმა ქართველ ტურისტებს იმ დროს ბუქარესტში მყოფ უკრაინელ ტურისტებთან ერთად გამოსათხოვარი ბანკეტი გაგვიმართეს. ბანკეტის შემდეგ გაიმართა საინტერესო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის საუკეთესო არტისტულმა ძალებმა. ქართველ ტურ

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში



დღეს სრულდება 9 წელი, რაც რუმინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა.

ჰიტლერული ფაშიზმის განადგურებამ და საბჭოთა არმიის მიერ რუმინეთის განთავისუფლებამ მონარქიის დამხობის პირობები შექმნა.

პირველად მთელ თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში რუმინელმა ხალხმა ხელში აიღო ძალაუფლება, იგი თავისუფალი და დამოუკიდებელი გახდა.

ეყრდნობა რა მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას, საბჭოთა კავშირის ძმურ უანგარო დახმარებას, რუმინელი ხალხი სოციალიზმს აშენებს.

სწრაფი ტემპით ვითარდება რესპუბლიკის მრეწველობა. ფოლადის წარმოებამ 1955 წელს მიაღწია 765.000 ტონას, ე. ი. 2,7-ჯერ მეტს, ვიდრე 1938 წელს, ხოლო მზა ნაგლინის წარმოება ამჟამად შეადგენს 567.000 ტონას. დიდი წარმატებებია მოპოვებული მრეწველობის სხვა დარგებშიც.

აღმავლობის გზაზეა რუმინეთის სოფლის მეურნეობა. 1949 წლიდან 1955 წლის დეკემბრამდე ჩათვლით შექმნილია 6.825 კოლექტიური მეურნეობა და სახოფლო-სამეურნეო ამხანაგობა.

სახალხო მეურნეობის სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კულტურულ-მატერიალური დონის ამაღლებას. 1955 წელს 1948 წელთან შედარებით ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა დაახლოებით 2,5-ჯერ და უფრო მეტად.

წელს რუმინელი მშრომელები შეუდგნენ მეორე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებას. რუმინეთის მუშათა პარტიის მეორე ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ ძლავრ აღმავლობას.

მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, რომელსაც რუმინელი ხალხი ეწევა, განსაზღვრავს მის საგარეო პოლიტიკას. რუმინელ ხალხს სურს მშვიდობა და მტკიცედ იბრძვის მის დასაცავად.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ დგას სოციალისტური ქვეყნების ოჯახში, რომელსაც საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უდგანან სათავეში. იგი სულ უფრო აფართოებს ძმურ ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან.

თავისუფალი რუმინელი ხალხი მტკიცე რწმენით მიდის სოციალიზმის გზით. საბჭოთა ადამიანები ულოცავენ რუმინელ ხალხს რესპუბლიკის გამოცხადების მე-9 წლისთავს და უსურვებენ ახალ, 1957 წელს მორიგი წარმატებების მოპოვებას სოციალიზმის მშენებლობაში.

* * *

სურათზე: ბუქარესტის ვ. ი. ლენინის სახელობის საგეგმო-ეკონომიური ინსტიტუტი.

ბულგარეთის სახალხო კრების საგანგებო სესია

სოფია, 27 დეკემბერი. (საკდესი). დღეს სოფიაში გაიხსნა ბულგარეთის სახალხო კრების მერვე საგანგებო სესია. სესიის განსახილველად შეტანილია შემდეგი კანონპროექტები: სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, დამზადების სამინისტროს კვების მრეწველობის სამინისტროდ და მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ რეორგანიზაციის შესახებ, გლეხების — შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობათა წევრების პენსიით უზრუნველყოფის შესახებ. სესიამ დაამტკიცა აგრეთვე სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებანი მთავრობის შემადგენლობის შეცვლის შესახებ და სახალხო კრების ნაწილობრივი არჩევნების შედეგები.

დღევანდელ სხდომაზე მოხსენება სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ გააკეთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩანკოვმა.

ეგვიპტელმა სპეციალისტებმა დაიწყეს სუეცის არხის გაწმენდის სამუშაოები

ჰაირო, 27 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, ეგვიპტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეგვიპტე ალარ აწარმოებს უშუალო მოლაპარაკებას სუეცის არხის საკითხზე არც ინგლისთან, არც საფრანგეთთან, რამდენადაც მან გაწყვიტა მათთან დიპლომატიური ურთიერთობა. ყოველგვარი მოლაპარაკება სუეცის არხის შესახებ, დასძინა წარმომადგენელმა, მომავალში უნდა წარმოებდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში.

ამასთან წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ეგვიპტის მთავრობის ამასწინანდელი მოლაპარაკების მსვლელობაში მიღწეულ იქნა შეთანხმება პრინციპების შესახებ, რომელთა საფუძველზეც იწარმოებს მუშაობა სუეცის არხის გასაწმენდად.

პრესა აგრეთვე იუწყება, რომ ეგვიპტელმა სპეციალისტებმა უკვე დაიწყეს მუშაობა სუეცის არხის ფარვატერის გასაწმენდად ქალაქების ისმაილიისა და სუეცის რაიონში. არხის გაწმენდის სამუშაოები გრძელდება აგრეთვე ელ-კანტარასა და ელ-ჭაბს შუა მდებარე რაიონში.

დამთავრდა იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის სესია

ბელგრადი, 28 დეკემბერი. (საკდესი). დამთავრდა იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის სესია.

საკავშირო ვეჩესა და მწარმოებელთა ვეჩეს გუშინდელ საღამოს სხდომებზე მიღებულ იქნა ფედერაციის 1957 წლის ბიუჯეტი. მიღებულ იქნა აგრეთვე საკავშირო საზოგადოებრივი გეგმის პროექტი.

უნგრეთში კონტრრევოლუციური ბანდა დაეპატიჟმრეს

ბუდაპეშტი, 28 დეკემბერი. (საკდესი). ამასწინათ ბუდაპეშტის მიდამოებში უნგრეთის ოფიცერთა მცველი პოლკების ქვეგანაყოფებმა დაიკავეს კონტრრევოლუციონერთა დიდი ბანდა. ამ ბანდის წევრებმა ოქტომბრის უკანასკნელ დღეებში შექმნეს შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც აწყობდნენ მკვლელობას, ძარცვას, იტაცებდნენ სახელმწიფო ქონებას. ბანდიტებმა დააპატიმრეს ბევრი პატიოსანი ადამიანი, თავს ასაღებდნენ რა სახელმწიფო უშიშროების მუშაკებად. ბევრი დაპატიმრებული დახოცეს. ბანდიტებმა აგრეთვე რამდენიმე დივერსია მოაწყეს. ამჟამად დაპატიმრებული ბელა ნიხმონდის ხელმძღვანელობით კონტრრევოლუციონერებმა, კერძოდ, სცადეს აეფეთქებინათ მუშათა მატარებელი, აგრეთვე რკინიგზის ხიდი ბერეშედჰაზსა და ჩომადს შუა.

დაპატიმრებულთა ბინების გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა დიდძალი იარაღი და საომარი მასალა. სახელმწიფო პროკურატურის ორგანოები გამოძიებას აწარმოებენ კონტრრევოლუციონერთა ბანდის საქმეზე.

ამერიკის შეერთებული შტატების მანევრები შუა აღმოსავლეთში

ნიუ-იორკი, 28 დეკემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ჩაიფუშა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესია ეგვიპტეში, ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ამერიკის პრესა მოწმობს, ცდილობენ დაიკავონ ინგლისისა და საფრანგეთის ეკონომიური პოზიციები შუა აღმოსავლეთში და მუქარისა და ეგრეთწოდებული „ეკონომიური დახმარების“ საშუალებით აიძულონ არაბული ქვეყნები განახორციელონ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სასურველი პოლიტიკა.

„ახლა, — წერდა ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ჯეიმს მერლიუ, — როცა ინგლისელებსა და ფრანგებს სახელი გაუტეხდათ, შუა აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებულ შტატებს შესაძლებლობა ეძლევათ გახდნენ ამ რაიონში ძლიერი ფაქტორი, თუ გაბატონებული არა“.

ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ გამოიყენონ მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებანი, თვით ძალის გამოყენების მუქარაც კი.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი რესტონი ვაშინგტონიდან გამოგზავნილ ცნობაში ამტკიცებს, რომ, არსებული ცნობების მიხედვით, ეიზენჰაუერი „აპირებს სთხოვოს კონგრესს მიანიჭოს მას რწმენებანი — გამოიყენოს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები, თუ საჭიროდ მიიჩნევს ამას შუა აღმოსავლეთში მშვიდობის შესანარჩუნებლად“. ეს მოთხოვნა წამოყენებულია იმ საბაბით, რომ თავიდან აცილებულ იქნას ახალი საომარი მოქმედება ამ რაიონში.

რესტონი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წრეებში „დიდი ყურადღებით სარგებლობს შუა აღმოსავლეთის რაიონის ეკონომიური აღდგენისათვის დახმარების გაწევის გეგმა“.

ასეთი გეგმის საშუალებით, როგორც ამერიკის პრესა მოწმობს, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ დაუკავშირონ ამ რაიონის ქვეყნები ბაღდადის პაქტს და ეკონომიური და პოლიტიკური ზეგავლენის გზით აიძულონ ისინი ხელი აიღონ დამოუკიდებელ პოლიტიკაზე.

როგორც გაზეთ „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის კუს ცნობიდან ჩანს, ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის ფაჯზის მოლაპარაკების დროს ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ ეგვიპტეზე, რათა ეიძულებინათ იგი შეერთებოდა ბაღდადის პაქტს. „ეს ცდები, — ხაზგასმით აღნიშნავს კუ,—შეხამებული იყო იმ გადაკრულ სიტყვებთან, რომ პაქტის ხასიათი შეიძლება შეიცვალოს და მასში მთავარი ყურადღება მიექცეს არა სამხედრო, არამედ ეკონომიურ მხარეს“.

ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას, როგორც კუ მოწმობს, თან ახლდა მუქარა, რომ უარის შემთხვევაში „ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ სერიოზულად სცადონ ეგვიპტის იზოლირება“.

ნათელი პროგრამა

სოფია, 27 დეკემბერი. (საკდესი). ბულგარული პრესა დიდ ადგილს უთმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს. ყველა გაზეთი მოწინავე და სარედაქციო სტატიებს უძღვნის პლენუმის დადგენილებებს.

გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებანი ნათელი პროგრამაა სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლისა — ისტორიულად უმოკლეს ვადაში დაეწიოს და გაუსწროს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

დადგენილებანი კონკრეტულად გვიჩვენებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული მეექვსე ხუთწლედის იმ ძირითადი ამოცანების გადაწყვეტის საშუალებებსა და მეთოდებს, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიაღწიოს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებანი ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური ეკონომიკის ახალ მძლავრ აღმავლობას, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობასთან მუშათა უშუალო კავშირი შთააგონებს და დარაზმავს მათ ახალი შრომითი გმირობებისაკენ.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების მშრომელები და ყველა ადამიანი დედამიწაზე, რომლებისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის საქმე, სიხარულისა და რწმენის გრძნობით ეგებებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის შედეგებს და მის დადგენილებებს საბჭოთა ქვეყანაში შემდგომი ეკონომიური მშენებლობის საკითხებზე, წერს გაზეთი „ოტჩრესტვენ ფრონტი“. საბჭოთა კავშირმა ახალი ნაბიჯი გადადგა წინ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე, გაიზარდა მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა. გაზეთი წერს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ მან არა მარტო აღნიშნა სამეურნეო მშენებლობის წარმატებანი, არამედ კვლავ ლენინური გამბედაობით გამოაშკარავა ჯერ კიდევ არსებული სისუსტე, გამოუყენებელი რეზერვები, სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი. ამ საფუძველზე მან დასახა ლენინისეული ბანი მთელი სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის განსახორციელებლად. ბულგარელი ხალხი დიდი სიხარულით ადევნებს თვალყურს საბჭოთა ხალხის ყოველ ახალ ნაბიჯს კომუნიზმის მშენებლობაში მისი მსოფლიო-ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად. საბჭოთა კავშირის წარმატებები მას მიიჩნია მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის წარმატების, სოციალისტური ბანაკის ძალების ზრდისა და თავის საკუთარ წარმატებათა ძირითად საწინდრად.

აზიის ქვეყნების მწერალთა კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა

დელი, 28 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა აზიის ქვეყნების მწერალთა კონფერენცია.

საბოლოო სხდომაზე მქუხარე ტაშით კონფერენციის მონაწილეებმა მიიწონეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

აზიის ქვეყნების მწერალთა კონფერენციამ, რომელიც დელში მიმდინარეობდა 1956 წლის 23-28 დეკემბერს, ისტორიაში პირველად გააერთიანა ერთი პლატფორმის გარშემო აზიის 17 ქვეყნის მწერლები.

აზიის სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და რწმენის მწერლები, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, შეიკრიბნენ ერთად, გაერთიანებულნი გულწრფელი სურვილით განაახლონ ძველი კულტურული ურთიერთობა და დაამყარონ ახალი, რომელიც შეესაბამება მსოფლიოს თანამედროვე მდგომარეობას, და კვლავ დაადასტურონ თავიანთი ვალდებულებანი აზიისა და მთელი მსოფლიოს მწერლებსა და ხალხებს შორის მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და მშვიდობის დამყარებისათვის.

ვიცავთ რა აზიაში არსებულ ძველ ტრადიციებს — შემწყნარებლობას, უნივერსალობასა და ჰუმანიზმს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ აზიის ქვეყნების კულტურული თანამშრომლობის მიზანი უნდა იყოს:

1) ქვეყნების ურთიერთგაცნობა,
2) ურთიერთ კულტურული გაცვლა და
3) ინფორმაციის გაცვლა.

ჩვენ, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, იმედი გვაქვს, რომ აზიის ყველა ქვეყნის მწერლები იბრძოლებენ ამ იდეალების განსახორციელებლად და ერთმანეთთან ექნებათ მუდმივი და რეგულარული ურთიერთობა.

განცხადების მოწონების შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს კონფერენციის მუშაობის მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციების ხელმძღვანელებმა, მათ შორის ბირმის, ცეილონის, ირანის, იაპონიის, ნეპალის, პაკისტანის, სამხრეთ ვიეტნამის დელეგაციების ხელმძღვანელებმა.

ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა მაო დუნმა აღნიშნა, რომ კონფერენციამ წარმატებით დაამთავრა მუშაობა დიდი ერთიანობისა და მეგობრობის ვითარებაში. მან კონფერენციას გადასცა ჩინელი მწერლების საჩუქრები.

ინდოეთის დელეგაციის ლიდერმა ტარაშანკარ ბანერჯიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთის კულტურა ხალხთა მშვიდობის, მეგობრობისა და ძმობის კულტურაა.

მონღოლმა მწერალმა დეზდენდივმა თქვა, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მწერლებს სურთ ახალი შეხვედრები აზიის ქვეყნების მწერლებთან.

კორეის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ხან სერ იამ აღნიშნა, რომ კორეელი მწერლები ყოველ ღონეს იხმარენ კონფერენციის განცხადებაში გამოთქმული იდეების განხორციელებისათვის. მან აზიის მწერლები მიიწვია ესტუმრონ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას.

უზბეკმა პოეტმა ქალმა ზულფიამ მხურვალე სალამი გადასცა ინდოელ მეგობრებს. ინდოეთში ყოფნისას, თქვა მან, თავს ისე ვგრძნობდით, როგორც შინ, და ამ ხნის განმავლობაში უფრო შეგვიყვარდა ინდოელი ხალხი და მისი კულტურა. ზულფიამ წინადადება შეიტანა აზიის ქვეყნების მწერალთა მეორე შეხვედრა მოეწყოს საბჭოთა უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში. ეს წინადადება მიღებულ იქნა მქუხარე ტაშით.

დელეგატები გულმხურვალედ შეხვდნენ ეგვიპტის წარმომადგენლის ჰუსეინ ქამილის სიტყვას, რომელმაც მადლობა გადაუხადა აზიელ მწერლებს ეგვიპტისადმი მათი დახმარების გამო ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის პერიოდში. თუ თქვენი თანამშრომლობა არ ყოფილიყო, თქვა მან, აგრესორები აკე მალე არ წავიდოდნენ ეგვიპტის ტერიტორიიდან.

კონფერენციის დახურვისას კონფერენციის თავმჯდომარემ ჩინელმა მწერალმა მაო დუნმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აზიელ მწერალთა ერთიანობა დიდად დაეხმარება აზიის ხალხებს.

კონფერენციის მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიმართა მწერალთა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კონფერენციის დამსწრე მწერლებმა აზიის, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებიდან.

ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომხმელი № 1 ქარხნის საკაპარატურო განყოფილებაში. **სურათზე:** წყლის გაზირებაზე მომუშავე ნ. რუმიანცევა გაზომიცემი აპარატით მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სტუდენტებისა და მუშების მეგობრობის საღამო

ამ დღეებში თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა შეხვედრა მოუწყეს 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ვლ. ფანჩიძემ. მოხსენება — „26 კომისრის სახელობის ქარხანა მეექვსე ხუთწლედში“ — გააკეთა ქარხნის საწარმოო განყოფილების გამგემ ი. ოსიპოვმა. სიტყვებით გამოვიდნენ გერმანული ენის ფაკულტეტის ალკა ბიუროს მდივანი ზ. სალაძე, ძველი რევოლუციონერი, ქარხნის მოწინავე მუშა ა. ზაკომოლდინი, ქარხნის კოლექტივისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. შამანაძემ.

უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა მეგობრობის აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივს გადასცა დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გერმანულ ენაზე, ხოლო ქარხნის საწარმოო განყოფილების გამგემ ინსტიტუტს უძღვნა ქარხნის შრომითი მაჩვენებლების ამსახველი ფოტოალბომი.

მხატვრულ განყოფილებაში სტუდენტთა შესრულებით ფრანგულ ენაზე წარმოდგენილ იქნა ფინალური სცენა ალ. დიუმას „მარგარიტა გოტიედან“, რომლის დადგმა ეკუთვნის სსრ კავშირის სახალხო არტისტს ვ. ანჯაფარიძეს. გერმანულ ენაზე სტუდენტებმა წარმოადგინეს მეოთხე მოქმედება ფ. შილერის „ყაჩაღებიდან“, ხოლო ინგლისურ ენაზე — სცენა უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტადან“.

ნაწყვეტი შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ ქართულ, რუსულ, უკრაინულ, გერმანულ, ინგლისურ და ჩინურ ენებზე მხატვრულად წაიკითხეს სტუდენტებმა დ. შალიკაშვილმა, ლ. ფხაკაძემ, ლ. მაშჩენკომ, თ. ჭანკვეტაძემ, ლ. ნუციფორიძემ და მ. შადურმა.

ინსტიტუტის მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლის და საესტრადო ორკესტრის კონცერტს, რომელიც დასასრულს გაიმართა, მაყურებელთა დიდი მოწონება ხვდა.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ДЕЛИ

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — სევილიელი დალაქი (დილას), გედების ტბა (მ. პლისეცკაიას მონაწილეობით, საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ეზოში ავი ძაღლია (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მეფე ერეკლე (დილას), მეაცრი ქალიშვილები (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — საუცხოო შენადნობი (დილა-საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — სიყვარულის კვანძი, **სომხური დრამის** — ოქროს ქალაქი (დილას), დედინაცვალი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კოქლი მეწისქვილე (აბონემენტი № 17, 12 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი— ვენა ცეკვავს, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ოქტომბერი, თბილისი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — მუნა, **კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი** — ვინ არის იგი?, **კომკავშირელი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის ცენტრალური სახლი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ბაში-აჩუკი.

ДЕЛИ

ТБИЛИСИ ТЕАТРЕБШИ

ОПЕРИСА ДА БАЛЕТИ — СЕВИЛИЕЛИ ДАЛАЧА (ДИЛАС), ГЕДЕБИС ТБА (М. ПЛИСЕЦКАИС МОНАЧИЛЕОБАТИ, САЛАМОС), **РУСТАВЕЛИС САХЕЛОБИС** — ЕЗОШИ АВИ ДАГЛИА (САЛАМОС), **МАРДЖАНИШВИЛИС САХЕЛОБИС** — МЕФЕ ЕРЕКЛЕ (ДИЛАС), МЕАЦРИ ГЕЛИШВИЛЕБИ (САЛАМОС), **ГРИБОЕДОВИС САХЕЛОБИС** — САУЦХОО ШЕНАДНОБА (ДИЛА-САЛАМОС), **МУСИКАЛУРИ КОМЕДИИС** — СИЧИВАРУЛИС КВАНДИ, **СОМХУРИ ДРАМИС** — ОКРОС ХАЛАЧИ (ДИЛАС), ДЕДИНАЦВАЛИ (САЛАМОС), **МОზარდ მაყურებელთა ქართული** — КОКЛИ МЕწისქვილე (АБОНЕМЕНТИ № 17, 12 ს.).

КИНОТЕАТРЕБШИ

РУСТАВЕЛИС САХЕЛОБИС, АМИРАНИ, ИСАНИ, ПЛЕХАНОВИС САХЕЛОБИС КЛУБИ— ВЕНА ЦЕКВАВС, **СПАРТАКИ, 26 КОМИСРИС САХЕЛОБИС, ოქტომბერი, თბილისი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — მუნა, **КОЛХИДА, КИРОВИС САХЕЛОБИС ПАРКИ** — ВИН АРИС ИГИ?, **КОМКАВШИРЕЛИ, САРЕწАო КООПЕРАЦИИС КУЛТУРИС ЦЕНТРАЛУРИ САХЛИ, МИЛИЦИИС САМმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — БАШИ-АЧУКИ.



სურათზე: თბილისის საელმავლო დეპოს ხარატი კარლო გვენცაძე თავის ოჯახის წევრებთან და მეზობლებთან ერთად უყურებს ტელეგადაცემას.

ფოტო შ. გოჭაძისა.

* * *

ჯერ კიდევ ორიოდე დღის წინათ დიდი ფუსფუსი იყო სატელევიზიო სადგურში. ფუნიკულორის პლატოზე. მშენებლები უკანასკნელ სამუშაოებს ასრულებდნენ, ემზადებოდნენ რეგულარული ტელეგადაცემებისათვის.

ახლა აქ უკვე სიწყნარეა. სატელევიზიო სადგურის პირველი რიგის მშენებლობა დამთავრდა. დღეს იწყება რეგულარული ტელეგადაცემები. საახალწლოდ თბილისისა და საქართველოს მოსახლეობამ საუცხოო საჩუქარი მიიღო. ბევრი მშრომელის ბინაში განათდა ტელეეკრანები. დღეისათვის მარტო თბილისში და რუსთავში გაიყიდა 3.500-ზე მეტი ტელევიზორი. ბევრი ტელევიზორი შეიძინეს გორის, კასპის და სხვ. მცხოვრებლებმა. მათ უკვე ნახეს პირველი საცდელი გადაცემები. გამოცდის დროს გამოირკვა, რომ გადაცემები თბილისის სატელევიზიო სადგურისა, რომელიც სამამულო წარმოების უახლესი ტიპის დანადგარებით არის მოწყობილი (დამზადებულია ლენინგრადის ქარხნებში), მაღალი ხილვადობითა და სმენადობით ხასიათდება და, სპეციალისტების აზრით, სსრ კავშირში თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს.

ცნობილია, რომ სატელევიზიო გადაცემები დამოკიდებულია ანტენის სიმაღლეზე. რაც უფრო მაღალია იგი, მით უფრო შორს ვრცელდება ულტრაიისფერი სხივები. თბილისის სატელევიზიო სადგურის ანძის დიდი სიმაღლე — ზღვის დონიდან 1.105 მეტრი — საშუალებას იძლევა დიდი რადიუსით უზრუნველყოს გადაცემები. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სატელევიზიო სადგურის გადაცემათა რადიუსი 100-150 კილომეტრია, ეს მანძილი ზოგ ადგილას საგრძნობლად დიდდება ან მცირდება საქართველოს რელიეფის გამო. მაგალითად, როგორც საცდელი გადაცემებიდან ჩანს, თბილისიდან ტელეგადაცემებს თავისუფლად მიიღებენ ყაზბეგის რაიონში, რომელიც თბილისს 150 კილომეტრზე მეტით არის დაშორებული, სიღნაღში და სხვ. თბილისის გადაცემებს თავისუფლად მიიღებს აგრეთვე ხომხეთისა და აზერბაიჯანის იმ რაიონების მოსახლეობა, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მეზობლად მდებარეობენ.

პირველ ხანებში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს საშუალება ექნებათ ნახონ კინოსურათები და პატარა სპექტაკლები, მცირე მასშტაბის კამერული კონცერტები, სხვა ქალაქების ტელესტუდიების გადაცემები, გადაღებული კინოფირზე.

მომავალი წლის პირველი კვარტალისათვის გათვალისწინებულია მოძრავი სადგურის მიღება, რაც საგრძნობლად გაამდიდრებს გადაცემათა პროგრამას. მაშინ შესაძლებელი იქნება თბილისის თეატრის წარმოდგენების, სპორტული შეჯიბრებების და სხვა სანახაობათა გადაცემა. ამავე პერიოდში მიიღებენ კინოგადამღებ აპარატურას.

ტელეგადაცემები მნიშვნელოვნად გაფართოვდება და გაუმჯობესდება მაშინ, როცა გმირთა მოედანზე ზოოპარკის გვერდით აშენდება ტელესტუდიის დიდი სახლი. ჯერჯერობით ტელეგადაცემები მოეწყობა კვირაში 3-ჯერ, ორ-ორ საათიანი პროგრამით, საღამოს 8 საათიდან.

ტელესტუდიას გადაცემის პირველი დღისათვის მომზადებული აქვს სპეციალური პროგრამა. ტელეეკრანთან გამოვლენ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები. შესრულებულ იქნება კომპოზიტორ ა. კერესელიძის სიმღერა თბილისზე, დაწერილი სპეციალურად პირველი ტელეგადაცემისათვის. მაყურებელი ნახავს თბილისის ლამაზ ხედებს, კინოკადრებს ტელეცენტრის მშენებლობაზე, გადაცემულ იქნება აგრეთვე თბილისის ტელესტუდიის სახელზე მიღებული მისასალმებელი დეპეშები სხვადასხვა ქალაქებიდან, მათ შორის მოსკოვის ტელესტუდიიდან. ამ დღეს ნაჩვენები იქნება თბილისის კინოსტუდიის ერთ-ერთი ფილმი.

ე. მამალაძე.

სურათზე: ტელესტუდიის დიქტორი აცხადებს გადაცემათა პროგრამას.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ДЕС

თბილისის თეატრებში

ОПЕРИСА ДА БАЛЕТИ — СЕВИЛИЕЛИ ДАЛАЧА (ДИЛАС), ГЕДЕБИС ТБА (М. ПЛИСЕЦКАИС МОНАЧИЛЕОБАТИ, САЛАМОС), **РУСТАВЕЛИС САХЕЛОБИС** — ЕЗОШИ АВИ ДАГЛИА (САЛАМОС), **МАРДЖАНИШВИЛИС САХЕЛОБИС** — МЕФЕ ЕРЕКЛЕ (ДИЛАС), МЕАЦРИ ГЕЛИШВИЛЕБИ (САЛАМОС), **ГРИБОЕДОВИС САХЕЛОБИС** — САУЦХОО ШЕНАДНОБА (ДИЛА-САЛАМОС), **МУСИКАЛУРИ КОМЕДИИС** — СИЧИВАРУЛИС КВАНДИ, **СОМХУРИ ДРАМИС** — ОКРОС ХАЛАЧИ (ДИЛАС), ДЕДИНАЦВАЛИ (САЛАМОС), **МОზარდ მაყურებელთა ქართული** — КОКЛИ МЕწისქვილე (АБОНЕМЕНТИ № 17, 12 ს.).

კინოთეატრებში

РУСТАВЕЛИС САХЕЛОБИС, АМИРАНИ, ИСАНИ, ПЛЕХАНОВИС САХЕЛОБИС КЛУБИ— ВЕНА ЦЕКВАВС, **СПАРТАКИ, 26 КОМИСРИС САХЕЛОБИС, ოქტომბერი, თბილისი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — მუნა, **КОЛХИДА, КИРОВИС САХЕЛОБИС ПАРКИ** — ВИН АРИС ИГИ?, **КОМКАВШИРЕЛИ, САРЕწАО КООПЕРАЦИИС КУЛТУРИС ЦЕНТРАЛУРИ САХЛИ, МИЛИЦИИС სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — БАШИ-АЧУКИ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მწუხარებით იუწყებიან საქართველოს სსრ აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ **მიხეილ დროროთეს-ძე წინამძღვრიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე მელანია, შვილები მარიკა, ვახტანგ, რძალი ელენ